საქართველოს პარლამენტის წევრის

ნინო გოგუაძის ვიზიტის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბაქო, აზერბაიჯანი

7 - 9 ივნისი 2018

მ/წ 7-9 ივნისს, ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი ქალაქ ბაქოში, აზერბაიჯანის რესპუბლიკა. ვიზიტი განხორციელდა ევრო პარლამენტის პოლიტიკური ჯგუფის „ევროპელი კონსერვატორების და რეფორმისტები“ წევრების და ევროკავშირის ორგანიზაციის - ევროპელი კონსერვატორების და რეფორმისტების ალიანსის მოწვევითა და ორგანიზებით. სამიტს მასპინძლობდნენ აზერბაიჯანის მეჯლისის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების წამომადგენლები.

სამიტი შეეხებოდა აზერბაიჯანის და რეგიონის ქვეყნების - საქართველოს და თურქეთის როლს რეგიონის და ევროპის ენერგო უსაფრთხოების გაძლიერების საკითხებში. ასევე, რეგიონის როლს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, თავისუფალი ვაჭრობის, ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საკითხებში. სამიტში მონაწილეობდნენ ევროპარლამენტის წევრები, ბულგარეთის, იტალიის, საბერძნეთის საკანონმდებლო ორგანის წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში ნინო გოგუაძემ შეხვედრები გამართა ევროპარლამენტის წევრებთან - იან ზაჰრადილთან, ნიკოლაი ბარეკოვთან, ლაურენტიო რებეგასთან, ბარბარა კაბელთან.